საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 9 22 00036109

09/11/2022

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონების პროექტების დაჩქარებული წესით განხილვა მიზანშეწონილია შემდეგი გარემოების გამო:

მედიკამენტების ფასები, ფარმაცევტული დანახარჯი და მედიკამენტების ხელმისაწვდომობა ქართული ჯანდაცვის სისტემისთვის კრიტიკული გამოწვევაა. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა კვლავაც რჩება მოსახლეობისთვის დანახარჯის ყველაზე დიდ მდგენელად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში განხორციელდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ინტეგრირება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, შემცირდა ბიუროკრატია და ა.შ., მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა და მოქალაქის „ჯიბიდან“ მაღალი გადახდები კვლავ კრიტიკულ გამოწვევად რჩება და საჭიროებს მეტ სახელმწიფო ინტერვენციას. აღნიშნული ასევე გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი უფლების კონტექსტში განიხილავს სახელმწიფოს მხრიდან ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევის პროაქტიული რეგულირების უფლებამოსილებას.

მედიკამენტებზე „ჯიბიდან“ პირდაპირი გადახდების შემცირებისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობამ პოლიტიკის ინსტრუმენტად განსაზღვრა მედიკამენტების ფასების სახელმწიფო რეგულირება და დაფარვის ჩარჩოს გაფართოება. აღნიშნული მიზნები გაცხადებულია, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მაისის №230 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიით“, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მაღალი ხარისხის, ეფექტიან და უსაფრთხო მედიკამენტებსა და სამედიცინო დანიშნულების პროდუქციაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

შესაბამისად, მოცემული ეტაპისთვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ავტორობითა და საქართველოს მთავრობის ინიციირებით მომზადებულია „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი (მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტების პროექტებთან ერთად), რომელიც მიზნად ისახავს სწორედ მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას ეფექტიან, უსაფრთხო და ხარისხიან ფარმაცევტულ პროდუქტზე, მედიკამენტების ფასწარმოქმნის სისტემის გაუმჯობესების გზით.

ზემოაღნიშნულ გამოწვევებზე სახელმწიფოს მხრიდან დროული და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, უკიდურესად მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცედურები წარიმართოს დაჩქარებული წესით, რათა აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდეს შემჭიდროებულ ვადებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით.

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ვახტანგ ბაჩიაშვილი